

ნიკორწმინდის ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაცია

❖ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ჩასატარებელი სამუშაოებით მოხდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

❖ ძირითადი პირობები

მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებული სამუშაოების გრაფიკის შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს მას ინფორმაციას წერილობითი ანგარიშის სახით, გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი ვალდებულია გაითვალისწინოს შემსყიდველის შენიშვნები და წინადადებები, რაც შემდგომში საფუძვლად დაედება შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივ ანაზღაურებას.

სამუშაოების შესრულების გეგმა განსაზღვრავს სამუშაოთა მიმდინარეობას და შემსყიდველისათვის ეტაპობრივად წარუდგენს გრაფიკს.

მიმწოდებლის მიერ სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს პროექტზე საავტორო ზედამხედველობა.

შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინება ოთხ ეგზემპლარად: ელექტრონული ვერსია – კომპაქტური დისკების (CD) სახით (1 ეგზემპლარი), მყარი ასლების სახით (3 ეგზემპლარი), ტექსტური და გრაფიკული მასალის დოკუმენტირებით.

მიმწოდებელი ვალდებულია რეაბილიტაციის დაწყებამდე ძეგლზე დაამონტაჟოს ჩასატარებელი სამუშაოების ამსახველი საინფორმაციო ბანერი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მესაკუთრე;
- შემსყიდველი;
- მიმწოდებელი;
- ჩასატარებელი სამუშაოს სახეობა;

სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ემსახურობდეს გვიანი შუა საუკუნეების ხანის კედლის მხატვრობის კონსერვაციას.

❖ ნიკორწმინდის ტაძრის კედლის მხატვრობას, კერძოდ გუმბათის, საკურთხეველის, დასავლეთ მკლავისა და კარიბჭეების კედლის მოხატულობას უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

- თაბაშირის ქიმებისა და ცემენტის შევსებების შეცვლა კირის ხსნარით;
- ბათქაშის დიდი ნაკლული ადგილების შევსება კირის ხსნარით;
- ბათქაშის მცირე ნაკლული ადგილების შევსება კირის ხსნარით;
- ფერწერული ფენის გამაგრება (აქერცლილი და გაფხვიერებული ადგილები);
- ფერწერული ფენის გაწმენდა მარილებისგან;
- ფერწერული ფენის და ქვის ზედაპირების გაწმენდა ჭვარტლისგან;
- ზედაპირული მტვრის მოცილება;
- ინტერიერის შეწამლვა ბიოციდით;

- მხატვრობის ფოტოფიქსაცია;
- გაწმენდისა და კონსერვაციის პროცესის სრული ფოტოფიქსაცია.

სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების სახარჯთაღრიცხვო ფორმაში (დანართი)

ზემოაღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულდეს პროექტით გათვალისწინებული მასალის სპეციფიკაციის დაცვით;

სამუშაოების ჩატარებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა შესრულების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფასეული ელემენტების შესანარჩუნებლად.

სარესტავრაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ახლადგამოვლენილი გარემოებ(ებ)ის გამოვლენისა და მისი დასაბუთების შემთხვევაში, პროექტიდან რაიმე გადახვევა (ან მასში ცვლილება), შეთანხმებულ იქნეს შემსყიდველთან და პროექტის ავტორთან.

❖ *შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია*

წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს შესრულებული სამუშაოები, შესრულებული სამუშაოების ანგარიში (საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად), შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა 2)

❖ *ნორმატიული დოკუმენტები*

მუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით.

ნიკორწმინდის ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის სახარჯთაღრიცხვო ფორმა და საპროექტო დოკუმენტაცია მოცემულია ტექნიკური დავალების დანართების სახით:

- ნიკორწმინდის ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის რეაბილიტაციის პროექტი (გუმბათი, საკურთხეველი, დასავლეთი მკლავი, კარიბჭები);
- სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფორმა შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალისა და მოცულობების ჩვენებით (ტენდერში მონაწილე ორგანიზაცია ვალდებულია ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინოს აღნიშნული ფორმის მიხედვით).

❖ *სამუშაოთა საბოლოო მიღება*

მიმწოდებელი აცხობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ ეტაპობრივად, თანახმად გეგმა-გრაფიკისა.

შემსყიდველი ამოწმებს შესრულებულ სამუშაოებს. თუ შემსყიდველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოები, დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

სამუშაოთა შესრულების ვადები

შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშის ჩაბარების საბოლოო ვადაა 2011 წლის 30 აგვისტო. შესრულებულ სამუშაოთა ეტაპობრივი ჩაბარების ვადები და გრაფიკი დაზუსტებული იქნება პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

სახარჯთაღრიცხვო ფორმა

№	სამუშაოების დასახელება	ბანხ.	რაოდ.	ერთეულის ღირებულება ლარი	სრული ღირებულება ლარი
1	2	3	4	5	6
1	თაბაშირის ქიმებისა და შევსებების (და ცემენტის) შეცვლა კირის ხსნარით	მ2	150		
2	ბათქაშის დიდი ნაკლული ადგილების შევსება კირის ხსნარით	მ2	10		
3	ბათქაშის მცირე ნაკლული ადგილების შევსება კირის ხსნარით	ღცმ2	100		
4	ფერწერული ფენის გამაგრება (აქერცლილი და გაფხვიერებული ადგილები)	ღცმ2	1200		
5	ფერწერული ფენის გაწმენდა მარილებისგან	მ2	95		
6	ფერწერული ფენის და ქვის ზედაპირების გაწმენდა ჭკარტლისგან	მ2	400		
7	ზედაპირული მტვრის მოცილება	მ2	1237		
8	ინტერიერის შეწამლვა ბიოციდით	მ2	800		
	მასალა				
	ხის მასალა ხარაჩოსათვის (დამატება არსებული ხარაჩოსათვის)	მ ³	2		
	ლურსმანი	კმ	5		
	ჰიდრავლიკური მასალა	კმ	15		
	კონსოლიდანტები	ლ	2		
	ბამბა	შეკერა	50		
	სპირტი	ლ	10		
	სულ პირდაპირი ხარჯები				
	ზედნადები ხარჯები	%			
	ჯამი				
	მოგება	%			
	ჯამი				
	საავტორო ზედამხედველობა	0.4 %			
	ჯამი				
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	%			
	ჯამი				